

ერეკლე II-ის მიერ ბოდბელი მღვდელმთავრისთვის მიერთმეული ქსოვილების წუსხა (ამონარიდი).

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

მეფე ერეკლეს ბოდბელი მღვდელმთავრისათვის მიერთმევია მრავალნაირი ქსოვილი მღვდელმთავართა და სტიქაროსანთა სამოსის შესაკერად:

49 ადლი (სიერძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში) ფრანგის თეთრი.

30 ადლი მუსჭირი;

4 ადლი ზარლოუ, ჩაქსოვილი ატლასი;

2 ადლი სტამბოლის ღიბა;

30 ადლი საღობის ატლასი;

3 ადლი სტამბოლის ღიბა;

1 მწვანე ტოლნული, ღარბაბთი (ზარბაბთი, იგივე ზარბაბი ან ზარბაბთი - ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმი, ოქრომკელით ნაკერი. (საარს.) ფარხა).

9 ადლი გაზიდურ;

2 განჯის ტოლნული;

ხის ჭამები შეიქმნა ოცდაათი თუმანი, ოცდათხუთმეტი შაური. ესენი სულ იაფათ არის დაფასებული და არა ძვირად. ყოვლად სამღვდელთს ბოდბელს მიერთვას. რომელიც ენებებოდეს, სამღვდლო მთავრათ შეაკერვინოს, რომელიც უნდოდეს. სამღვდლოთ, რომელიც უნდოდეს. სადიაკვნო სტინხრათ. დეკემბერს.

რაზე მიგვანიშნებს ჩამოთვლილი ქსოვილების სახეობები და მათი წარმომავლობა?

როგორ ფიქრობ, რამდნად სასიხარულო იქნებოდა ეკლესიის მსახურისათვის განსაკუთრებით სასიხარულო, როდესაც მეფის ბოძებული ქსოვილით შეკერილი სამოსით შეიმოსებოდა?

დასვი მეტი კითხვა, აღადგინე წარსული სამეფო ქსოვილების ფერებში!

ერეკლე II-ის სამეფო მოწმობა, მიცემული ოპანეზ ამბროსიანთ დავითას ძისთვის აზნაურის წოდების წყალობის შესახებ (ადაპტირებული ტექსტი).

1785 წელი.

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

ამ მოწმობით მეფე ერეკლემ სომეხ ვაჭარს, ამბროსიანთ ოპანეზას, უბოძა მაღალი წოდება. ეს წოდება ოპანეზას წინაპარს მეფე ერეკლე I-ისაგან ჰქონია ნაბოძები, მაგრამ მოგვიანებით ოპანეზას მამას ვაჭრობაში გაუმართლა და სპარსეთში გადასახლებულა.

წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ირაკლი მეორე, მეფე ქართლისა და სხვათა გაძლევთ ჩვენსა ამას სამეფო მოწმობას შენ, გვართ სომეხს და ჩვენს მკვიდრს აზნაურს, თბილისელს ამბროსიანთ დავითას ძეს ოპანეზას.

ვინათვან თქვენი წინაპარი, ამბროს, ჟამსა პირველსა ირაკლი მეფისა, წინაპარის ჩვენისასა კეთილმოქალაქეობით ერთგულად მონაობითა და ნაყოფიერი საქმითა (ერთგულად მსახურებით), მისის უმაღლესობისაგან მიიღო პატივი და ხარისხი კეთილშობილება.

შემდგომად ჟამთა შვილის შვილი მისი დავით, რომელი იყო მამაშენი, ავის დროისა და ქვეყნის არეულობის მიზეზით, ახალგაზრდობაში განსულიყო ჩვენის უფლებებისაგან და შედგომილიყო ვაჭრობასა და ეკლო უფლებასა სპარსეთთა და მრევე დამკვიდრებელიყო, და შენ მისმა ძემ ჰპოვე გამოსავალი დაგამოხვედ სპარსეთითვან, მოხვედ და გეთხოვნა ჩვენთვის მოწმობა ნათლად მოღებად აზნაურობისა, წინაპართა შენთათა, ხოლო ჩვენცა გამოვეციეთ მატინეთა შორის უწინარესთა მეფეთა ჩვენთა, რომლისათვისცა მოვეციეთ ესე ჩვენი სამეფო მოწმობა.

როგორ ფიქრობ, რატომ უბოძა მეფე ერეკლე II-მ სომეხ ვაჭარ ოპანეზას აზნაურობის წოდება?

რატომ დაბრუნდა ოპანეზა ირანიდან საქართველოში?

როგორი იქნებოდა მისი მოგზაურობის თავგადასავალი ისპაჰანიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე?

შეეცადე, შეიხედო წარსულის ლაბირინთებში და აღადგინო ისტორიის შენეული სიუჟეტი!

მეფე ერეკლე II-ის ბრძანება ლეკებისაგან დატყვევებული გიორგი გეგელიშვილის დახსნის შესახებ.
(ადაპტირებული ტექსტი)

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

საბუთი საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: ვინმე გიორგი გეგელიშვილი ლეკებს დაუტყვევებიათ. მისი გამოსხნა ქართველებთან დამეგობრებული ლეკის კაცის დახმარებით გამხდარა შესაძლებელი, მაგრამ ეს კაცი გამოსასყიდს ითხოვდა ტყვის გასათავისუფლებლად. მეფე ერეკლეს მამას, მეფე თეიმურაზს ტყვის გამოსყიდვა დიღმელებისათვის დაუვალეზია, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ იმაზე მიუთუთითებს მეფე ერეკლე, რომ რადგან არ დაუხსნიათ გიორგი გეგელიშვილი, მასზე არც უფლება ჰქონდათ:

ქ. ჩვენი ბძანება არის: დიღმის მამასახლისო დავითავ და ერთობით დიღმელებო; მერმე დიღმელი თქვენი მეზობელი გეგელიშვილი გიორგი ლეკისაგან დატყვევებულა: ერთსა ჩვენს შერიგებულს ლეკს დაუხსნია, ქალაქში მოუყვანია: სახსარი (აქ: გამოსასყიდი ფული) გილარ უშოვნიათ. ბატონს მამაჩვენს თქვენთვის უბრძანებია ბოქალოთხეკის (საქალაქი-ადმინისტრაციული აპარატის მაღალი მოხელე ძველ საქართველოში) პირით, რომ თქვენ დაიხსენით და თქვენი იყოსო. თქვენ არ დაგიხსნია და სხვას დაუხსნია მაღლისათვის და გაუშვია. ახლა რადგან ასე ყოფილა, არასა დიღმელს კაცს ამასთან ხელი არავის გაქვსთ (ამ კაცზე უფლება არ გაქვთ). ქალაქში არის, ჩემის შვილის, ლევანის ხლოდებულა: საცა უნდოდეს, იქ შეინახოს. სხვას ხელი არავის აქვს. 1764 წლის 28 თებერვალი.

როგორ ფიქრობ, რაზე მიუთითებს გიორგის გეგელიშვილის დატყვევება ლეკების მიერ?
რატომ ითხოვდა მისი დამხსნელი ლეკი ფულად გამოსასყიდს?
რაზე მიუთითებს ერთი კონკრეტული ადამიანის დახსნის საქმეში თავად მეფის ჩართულობა?

შეეცადე, იმაზე მეტი დაინახო გიორგი გეგელიშვილის ტყვეობის ისტორიაში, ვიდრე ერთი კაცის ამბავი და აღადგინო წარსულის შენეული სიუჟეტი!

მიწერილობა ერეკლე მეფისა მოქალაქე სტეფანე ფოლოაშვილს ფრანგი აქიმის შესახებ
(ადაპტირებული ტექსტი)

1778 წლის 24 ივნისი.

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

ერეკლე მეფე მოქალაქე სტეფანე ფოლოაშვილს სწერს წერილით, რომ სტამბოლიდან ჩამოსულ ფრანგ ექიმს დახვდეს, ჯერ თუ არ ჩამოსულა, დაელოდოს და მისი ყველა ხარჯი უზრუნველყოს. ამ ხარჯს კი მეფე უცილოდ დაუფასებს:

ქ. ჩვენ მაგივრად მოქალაქე ფოლოაშვილს სტეფანეს ასე უამბოთ: სტამბოლიდან ერთი ფრანგი აქიმი უნდა მოვიდეს აქეთკენ: უკუე მოვიდა თუ მოვა, მანდ იყოს. მიდი, ნახე ყმაწვილი კაცი არის. მიიზა გურგინსაც კარგათ იცნობს და თუ ჯერ არ მოსულიყოს, მანდ თვალ-ყური გექიროს: რასაც წამს მოვიდეს რაც გზის სახარჯო უნდოდეს, შენ უშოკუ, მიეც და აქ გამოგზანე, რასაც დახარჯავ, ჩვენი თანხმობაა და რაც დაგკარგება იმას მივაბრუნებთ: ამაზე იმედინად იყავ, რომ შენ ერთი ფული არ დაგკარგება და ჩვენთან მაგ აქიმის აქ მოსვლა შენგან დიდ სამსახურათ ჩავარდება. ამ საჩქმეზე და მაგ ექიმის გამოგზანაზე ძალიან ბეჭითობა გმართებს.

თიბათვის კდ (24 ივლისი), ქუბ უ ჟვ (1778 წ.)

როგორ ფიქრობ, რატომ გამოიჩნა მეფე ერეკლემ ფრანგი ექიმის ჩამოსვლის მიმართ ესოდენი ყურადღება?

დაფიქრდი, სტამბოლიდან ევროპელი ექიმის ჩამოსვლა საქართველოში რაზე შეიძლება მიუთითებდეს?

შეეცადე, წარმოიდგინო გონებაში, როგორები იყვნენ ეს ახალგაზრდა ფრანგი ექიმი და სტეფანე ფოლოაშვილი, რომელსაც თავად მეფემ ანდო საპატიო სტუმრის მეგზურობა ეტვირთა?

ეს დაგეხმარება შენი წარმოსახვით გააცოცხლო ისტორია!

მარტყოფის მოურაობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ ზაალ ენდრონიკაშვილისათვის (ადაპტირებული ტექსტი).

1795 წლის 13 მარტი.

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

ამ საბუთის მიხედვით, მეფე ერეკლეს ზაალ ენდრონიკაშვილისთვის დაუბრუნებია მარტყოფის მოურავობა და მისივე ოჯახის კუთვნილი მამულები.

რატომ დაუკარგავს ზაალის ოჯახს ეს წოდება და რა დამსახურებისათვის აღუდგინა მოურავობა მეფე ერეკლემ, ამის შესახებ ეს საბუთი მოგიყვებათ:

წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონებან ცნებულის მეფის თეიმურაზის ძემან ირაკლი მეორემან ეს წყალობის სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და თაჟდადებით ნამსახურს ენდრონიკაშვილს ზაალს, შენს შვილებს და შენი ოჯახის შთამომავლებს: ძველათვე მარტყოფის მოურავობა შენს ოჯახს ჰქონდა, ამის დასტურად წყალობის სიგლებიც გქონდა მეფის იმამყულიანისა. შემდეგ ისე მოხდა, რომ მარტყოფის მოურავობა ჩამოგართვათ მეფე იმამყულიანმა. ძველ საბუთებში ამოვიკითხეთ, რომ შენ დაობლდი. მეფეს მარტყოფის მოურავობა ჩერქეზისშვილისათვის ებოძებინა იმ მიზეზით, რომ იმ დროს შენ მოკლა არ შეგეძლებოდა. ახლა კი მარტყოფის მოურავობა შენვე გიბოძეთ; ამის საბუთებიც გქონდა და თვით შენც მრავალს ადგილს დიდ ომებში სახლოვნად იბრძოდი: აბდულაბეგ რომ შემოგვესია, მაშინ მტრის რაზმში ვაჟაკურად შეხველ, კაცი მოჰკალ, მოგეხვივნენ და სასიკვდილოდ დაგკაფეს (მრავალი ჭრილობა მოგაყენეს), ღვთით მოჩი და მას აქეთ ერთმანეთზე უკეთესი ვაჟაკობები იმოქმედე, ასპინძის ომში ლეკის ჯარს შვიდს ხვესურთან ერთად წინ მიეგებე, სახლოვნად შეები, კაცნიც დაჰხოცე. თითუელად შეგან ქმნილი ვაჟაკობები რომ დაგვეწერა, ძალიან გავძლდებოდა და ბევრისაგან მხოლოდ ცოტა ჩამოვთვალეთ და ამ სამსახურისთვის

გიბოძეთ ძველთაგანვე შენი ოჯახის კეთილი მარტყოფს მოურაობა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან!

როგორ ფიქრობ, ზაალ ანდრონიკაშვილს რომ არ ჰქონოდა საბუთები, იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ოჯახი ნამდვილად ფლობდა მარტყოფის მოურაობას, მეფე ერეკლე უბოძებდა თუა არა მას ამ წოდებას? საბუთში აღწერილია ზაალ ანდრონიკაშვილის გმირობები. შეეცადე, წარმოსახვით აღადგინო, როგორი იყო ის?

ძველი ქართული სამართალი, ობლად დარჩენილი ქართველი გმირი, რომელიც მხოლოდ შვიდ ხვესურთან ერთად შეება მტერს და მეფე ერეკლეს სამართლიანი გადაწყვეტილება... შეეცადე, შეიხედო წარსულის კულუარებში და აღადგინო შენეული სიუჟეტი!

მეფე ერეკლე II-ის იარაღის ქონებრივი ნუსხა. (ადაპტირებული ტექსტი)

@ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

გადაავლე თვალი ამ ნუსხას! უთუოდ საინტერესო იქნება შეავლო თვალი იმ იარაღს, რომელმაც ერეკლეს გმირობაზე აალაპარაკა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც:

რაც ბატონის ნეტარად ხსენებულის იარაღები არის, ამას ქვევით სწერია:

- 1) შინაძრის ჯაჯარდანი ხმალი, თავისის ყაწიშით (გარჯხლის ნაწილობით შამკოლი მხარილლივ გადაკიდებელი თასმა, რომელზედაც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული) და ბალთები და სავადით (ვადა: ხმლის ტარი) გაწყობილი;
- 1) ყადიმი - ხვესურელი ხმალი, ყაწიშით და სავადით, სადა ოქრო;
- 1) თას-კულა, თავისის ჯაჭვით;
- 1) ერთი დურბინდი - ცალი თვალი აკლია;
- 1) ესები მანიქას აბარია უკლებლად.
- 1) ვერცხლის საპირისწამლე, სვედიანი (ვერცხლის ნაკეთობის მოსართავი ნივთიერება) ბეჟან ჰეტრიაშვილს ებარებოდა და მოიტანეს. ახლა ჩემს ხემწიფეს - დედოფალს აბარია;
- 1) ყადიმი (სპარსულად: ძველი) ოქროს ხანჯალი მუღამ ზღ ახლდა ბატონს;
- 1) ყადიმი თრანგული თოფი, თავისის სალტეზე ხით გაწყობილი;
- 1) დამბახა ყადიმი, ესეც სალტებით;
- 1) საპირისწამლე ყადიმი, ოქროს ყაწიშით, ვერცხლის სვედით არის;
- 1) წელსართყამი ვერცხლის ბალთებით და სვედით და ხანთებზე ფულაქები (ლილეები), ოქროს დაფერილი ხანთები, ტყავით და ხამლით გაწყობილი. ესენი ირინეს აბარია, მოლარეს;

მე რაც მეზარა, ესებია. ერთი ბარათი მეზოდოს, რომ მე მქონდეს.

წარმოიდგინე, 300 წლის წინ იმოგზაურე დროში და მეფე ერეკლემ შენ მოგაზარა იარაღის სამეფო კოლექცია!..

კარგად დაიმახსოვრე სამეფო იარაღის ნუსხა - ეს შენი შანსია!

შეეცადე, აღადგინო ის საბრძოლო ქარტეხილები, რომლებშიც გამოაწრთო მეფე ერეკლემ თავისი იარაღი!

Handwritten text at the top of the page, possibly a title or header, written in a cursive script.

Handwritten text block, first entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, second entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, third entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, fourth entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, fifth entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, sixth entry, consisting of several lines of cursive script.

Handwritten text block, seventh entry, consisting of several lines of cursive script.

† Երբ Եւթար թի Պարտիս Եւթար
ժողովարա թի Եւթար թի Պարտիս
Եւթար թի Պարտիս Եւթար թի Պարտիս
Եւթար թի Պարտիս Եւթար թի Պարտիս
Եւթար թի Պարտիս
† Եւթար թի Պարտիս Եւթար թի Պարտիս
Եւթար թի Պարտիս

W3557
d. H

ერეკლე მეფის იახტანში (მოზრდილი სკივრი ხელით ნაქარგ-ნაკვეთი) დაცული ნივთების ქონებრივი ნუსხა (ადაპტირებული ტექსტი).

1798 წლის 31 მაისი.

©ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში.

განსაკუთრებით საყვარელ ნივთებს, ალბათ, სადმე ინახავ: გამორჩეულ თაროზე, უჯრაში ან სულაც სკივრში ან პატარა ყუთში...

იცი, რომ მეფე ერეკლესაც ჰქონდა სკივრი - იახტანი საყვარელი ნივთების შესანახად.

დაუჯერებელია, მაგრამ შენ შეგიძლია ახადო სახურავი ამ სკივრს და სათითაოდ დაათვალიერო მეფე ერეკლეს საყვარელი ნივთები:

რაც იახტანისა დავით მეფემ დამაწერინა და უარდავს მებარა:

- 1) ი. სამი ყავის ფინჯანი თითბრის ზართებით;
- 1) ი. ერთი დიდი ფინჯანი, ნაღობაქით და თავსაფარებლით, მწვანე;
- 1) ი. ორი კიდევ დიდრონი ფინჯნები, ნაღობაქებით და საფარებლი;
- 1) ი. თვრამეტი ჩაის ფინჯანი ნაღობაქებით, სხვადასხვა ნაჭრისა;
- 1) ი. ორი ფაიფურის სტაქანი;
- 1) ი. ორი საშაქრე ბროლისა: ამაში ერთი მწვანეა, მეორე - თეთრი, ნაპირვაცეხილი;
- 1) ი. ხუთი ადლი (სიგრიძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში) წითელი ხავცი;
- 1) ი. ოთხი ადლი ჩვენი ბაშმაული (ქსოვილის სახეობა);
- 1) ი. აზრუმის სამაგუ ერთი;
- 1) ი. ცამეტი მარანდული (სპარსული) საპონი;
- 1) ი. ხუთი ფურცელი სიგლის (ქალაქი, რომელზეც სიგლს წერენ) ქალაქი;
- 1) ი. ერთი ხის ჭკარი;
- 1) ი. ვერცხლის პატარა ჩაის საწურავი;
- 1) ი. წითელი ხამის ნაჭერი;
- 1) ი. ერთი ტანი ორფერი მაუდი;

- 1) ქ. ამ სიის ჩაის ფინჯნებისა, ექვსი ფინჯანი ნალბაქებით - ანასტასია ბატონიშვილს საშაქრეც;
- 1) ქ. ექვსი ფინჯანი და ნალბაქები - თეკლე ბატონიშვილს მიერთო და ერთიც საშაქრე

არშიაზე მინაწერი:

- 1) ქ. ოთხი ფინჯანი და ნალბაქი - ივანე ბატონიშვილს მიერთო, ბარამაშვილს მიეცა;
- 1) ქ. წვერისსახევი მაუღის ხელსახოცები;
- 1) ქ. სამი პატარპატარა დარაის ნაჭრები;
- 1) ქ. ერთი უბრალო, ნახმარი დანა და ჩანგალი;
- 1) ქ. ერთი პატარა ნაჭერი სამოკე(საწულე);
- 1) ქ. სანთლის ნამწვი;
- 1) ქ. ნახმარი აბრეშუმის წინდები ორი წყვილი;
- 1) ქ. მუშანბის (ქსოვილის სახეობა) ნაჭრები;
- 1) ქ. ლაქის ნამტვრევები.

ნახე, როგორი ჩაის ფინჯნები და ლამბაქები აქვს მეფე ერეკლეს?

ისიც ნახე, რომ ყავის ფინჯნებს საგანგებოდ ინახავს?

შეგიძია, წარმოიდგინო როგორი იყო მეფე ერეკლეს დილა თითქმის 300 წლის წინათ?

ყურადღებით დაათვალიერე მეფის იახტანი! შეეცადე, აღადგინო დიდი მეფის ყოველდღიური ცხოვრება შენი წარმოსახვით!

ერეკლე მეფის წერილი ასულს, თეკლა ბატონიშვილს.

1781 წ.

©ხელნაწერი დაცულია ეროვნულ არქივში

აღბათ, არაერთხელ გამოუგზავნია შენტვის მამას ტკბილეული...

წერილი, ან იქნებ ელექტრონული გზავნილიც მიგიღია მისგან, რომელსაც უსაზღვროდ გაუხარებხარ!...

გინდა, გაიგო, როგორ წერილს სწერს მეფე-მამა თავის ქალიშვილს? ან იქნებ, გაინტერესებს როგორი მოსაფერებელი სახელით მიმართავს?

მაშინ ეს წერილი ყურადღებით უნდა წაიკითხო:

თეკლა ბიჭსა,

თეკლას, მამისა და დედის სინარჯს, მადლი, წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ.

შენი სიბრძნით სავსე წერილი მომივიდა. შენ ხომ იცი და გონიერი ქალიც ხარ, როგორც მისამებოდა (მესიამოვნებოდა). მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივანწიგნით იყო შენი გარჯილობა (ლამაზი ხელით იყო ნაწერი), უფრო რომ არაბეჯის ხელს (ხელწერას) გემსგავსებინა. მეტის სიღრმისგან ვერა აღმოვიკითხეთ და ვერღარა შევიტყუეთ...

ექისი კარგი ბროწიყლი გამომიგზავნია, ხვალ კიდევ ბევრს შაქარსაყინოს და ნელოს (ფიჭოსისაგან და შაქრისაგან შეზავებული მოკლე და მრგვალი გამფრთხი; დამაქრული ნუშის გული. ატმის ჩირი ნიგვზის გულით) და შაქარს გამოვიგზავნი.

მეფეს სამეფო ბეჭედი დაუსვამს წერილზე. ეს ბეჭედი ხუთენოვანია: ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და სომხურ ენებზე.

როგორ ფიქრობ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მეფეს თავისი ასულის, თეკლას, კალიგრაფიასთან გაგიკვირდა, მეფის ასულს ასე რომ ჰყვარებია ტკბილეული?

როგორი მამა იყო, ამ წერილის მიხედვით, მეფე ერეკლე?

დაფიქრდი მეფე ერეკლესა და მისი შვილის ურთიერთობაზე, შეეცადე, შენი წარმოსახვით აღადგინო